

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



საია არასრულწლოვანი ბეჯა გორიაშვილისა და მისი ძმის დაკითხვის ფაქტს ეხმაურება

2013 წლის 14 იანვარს მედიაში გავრცელდა ქართველი პიანისტის ბეჯა გორიაშვილის განცხადება, რომელშიც ის საუბრობს მოწმის სახით დაკითხვისას მასზე განხორციელებულ ფსიქოლოგიურ ზეწოლაზე. გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, ბეჯა გორიაშვილი და მისი ძმა ლაშა გორიაშვილი ქურდობის ფაქტთან დაკავშირებით მოწმის სტატუსით დაიკითხნენ 2013 წლის 8 იანვარს, ვაკე-საბურთალოს მეხუთე განყოფილებაში. ასევე ცნობილია, რომ არასრულწლოვანი (16 წლის) ბეჯა გორიაშვილის დაკითხვას ესწრებოდა მშობელი ვალდერიან გორიაშვილი. ბეჯა გორიაშვილი თავის განცხადებაში საუბრობდა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



როგორც მის მიმართ ისე მისი ძმის ლაშა გორჩიაშვილის მიმართ განხორციელებულ ფსიქოლოგიურ ზეწოლასა და მუქარაზე.

საია დამატებით დაუკავშირდა ბექა გორჩიაშვილის მამას, რომელმაც საია-სთან საუბარში დაადასტურა ბექა გორჩიაშვილის მიერ განცხადებაში დაფიქსირებული ზეწოლის ფაქტები. მან ასევე აღნიშნა, რომ დაკითხვისას ბექას მიმართ ადგილი ჰქონდა ზეწოლას, რაც გამოიხატებოდა „ციხეში ჩასმისა“ და „ცხოვრების გამწარების“ მუქარაში. ლაშა გორჩიაშვილის მიმართ კი დაფიქსირდა სიტყვიერი შეურაცხყოფა და ფიზიკური შეურაცხყოფის მუქარა.

აღნიშნული განცხადების საპასუხოდ, დღეს, 15 იანვარს, შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა განცხადება, რომლის მიხედვითაც, შსს-ს გენერალურმა ინსპექციამ დაიწყო შიდა მოკვლევა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით. განცხადების თანახმად, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, მოკვლევის მასალები საჯარო გახდება. საია მიესალმება შსს-ს რეაგირებას და მოუწოდებს მას, რომ დროულად და ობიექტურად წარმართოს საქმის შესწავლასთან დაკავშირებული პროცედურები. მოკვლევის პარალელურად კი საზოგადოებას მიაწოდოს ამომწურავი ინფორმაცია მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით.

ბოლოს გვსურს აღვნიშნოთ, რომ საია ზოგადად პრობლემურად მიიჩნევს გამოძიების ეტაპზე მოწმის დაკითხვის არსებულ მოდელს და თვლის, რომ ამ პროცესის გაჭანსაღებისთვის უმნიშვნელოვანესია მოწმის დაკითხვის ახალი წესის დროული ამოქმედება, რაც გადადებულია 2013 წლის 1 დეკემბრამდე. ახალი წესის ამოქმედება, რომლის შემდეგაც მოწმის მიერ ჩვენების მიცემა მოხდება მხოლოდ მოსამართლის წინაშე, უზრუნველყოფს მოწმეთა დაცულობისა და ამ პროცესზე ზედამხედველობის ხარისხის არსებითად გაზრდას.